

# **“თუ რუსული ენა იდევნება, რუსული ბიზნესი რატომ რჩება?”**

გაზეთი “ყველა სიახლე” – 28 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, № 38, 2011

არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოს პარლამენტმა ჩვენს კანონმდებლობაში პირველი მოსმენით შეიტანა ცვლილება, რომლის ძალითაც სტრატეგიული ობიექტების აქციათა შეუზღუდავი პაკეტების საერთაშორისო ბირჟებზე გაყიდვა შესაძლებელი ხდება, თუმცა, მმართველი პარტია პირობას დებს, რომ საკონტროლო პაკეტები არ გაიყიდება. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლადო პაპავა** შიშობს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული პირობა არ შესრულდება:

– პრობლემა თვითონ სტრატეგიული ობიექტის ცნებაა. წესით, შესაბამის ნორმატიულ აქტში უნდა იყოს ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ობიექტს შეიძლება ეწოდოს სტრატეგიული ობიექტი, მაგრამ ასე არ არის. შეგახსენებო ერთ „ფრთოსან გამონათქვამს“, რომელიც ბატონმა კახა ბენდუქიძემ საქართველოში ჩამოსვლისას თქვა, რომ არ ესმის რა არის სტრატეგიული ობიექტი. ძნელია არ დაეთანხმო ბატონ კახას, თუ ამ საკითხს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის კუთხით შევხედავთ: საქმე ის გახლავთ, რომ ეკონომიკური თეორია მართლაც არ სცნობს სტრატეგიული ობიექტის ცნებას. ეკონომიკისათვის არსებობს მხოლოდ მომგებიანი, ან წამგებიანი ობიექტი. მაგრამ ეკონომიკა არის ჩვენი ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი, თუმცა მხოლოდ ერთი ნაწილი. ხომ უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური ცხოვრება, საერთაშორისო, სოციალური ურთიერთობები და საერთოდ, ქვეყნის უსაფრთხოება? სწორედ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ცნებასთან არის მჭირდო კავშირში სტრატეგიული ობიექტის ცნებაც. საყურადღებოა, თუ რა საერთაშორისო ფუნქცია აქვს ქვეყანას და მისი სიცოცხლისუნარიანობისათვის რომელი ობიექტებია მნიშვნელოვანი. სწორედ აქედან გამომდინარე ჩნდება სტრატეგიული ობიექტის ცნებაც. საქართველოს საერთაშორისო ფუნქცია არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი, ამიტომ ბუნებრივია, სატრანსპორტო დერეფანთან დაკავშირებული ყველა ობიექტი იძენს სტრატეგიულობის ხასიათს, იქნება ეს რკინიგზა, საჰაერო ნავიგაცია, საზღვაო პორტები თუ მაგისტრალური გზები. გარდა ამისა, სტრატეგიული ობიექტების ნუსხას განეკუთვნება ისეთი ობიექტები,

რომლებიც ქვეყნის სახიცოცხლო მნიშვნელობისათვის არის გადამწყვეტი, ეს უწინარეს ყოვლისა არის ყველა ენერგეტიკული ობიექტი იმიტომ, რომ ენერგეტიკა არის ეკონომიკის საფუძველი. შედეგად, ენერგეტიკის ნებისმიერი ობიექტი, იქნება ეს ელექტროგადამცემი ხაზები, პესები, თუ მიღსადენი, რომლითაც გაზის, ან ნავთობის ტრანსპორტირება ხდება, ყველა ეს ობიექტი იძენს სტრატეგიული ობიექტის ხარისხს.

– ბატონო ლადო, ხშირად კამათობენ თემაზე, შეიძლება თუ არა სტრატეგიული ობიექტის პრივატიზაცია?

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ქვეყანას რა საფრთხეები აქვს. თუ ქვეყანა მდებარეობს ისეთ სივრცეში, სადაც საფრთხეები მინიმუმამდეა დაყვანილი, მაშინ დიდი მნიშვნელობა არა აქვს მოცემული ობიექტი სახელმწიფოს საკუთრებაა თუ კერძო კომპანიისა. მაგალითად, ევროკავშირის შუაგულში მყოფი შვეიცარიის გარემოცვა სულაც არ არის საფრთხის შემცველი. ამიტომ ასეთი ქვეყნისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მისი სტრატეგიული ობიექტების მესაკუთრე. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ის სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ყველამ ვიცით, რომ ობილისიდან რამდენიმე კილომეტრში რუსეთის საბრძოლო ტექნიკა დგას. კარგად ვიცით, თუ რა ამბიციები აქვს რუსეთს საქართველოსა და მთელ კავკასიაში, რომ მას უნდა მთელი კავკასიის ეკონომიკა გააკონტროლოს. ასეთ ვითარებაში რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, შეძლებს თუ არა ჩვენი სტრატეგიული ობიექტების შეძენას რუსეთი, ან მასთან ალიანსში მყოფი სახელმწიფოები, პირველ რიგში კი – სომხეთი.

მკითხველს შევახსენებ ერთ ფაქტს: ჯერ კიდევ 2003 წელს რუსეთში გამოქვეყნდა ცნობილის რუსი ეკონომისტის, პოლიტიკოსიასა და მენეჯერის, ანატოლი ჩუბაისის წერილი სათაურით „რუსეთის მისია 21-ე საუკუნეში“. ამ წერილში ჩუბაისი წერს, რომ რუსეთმა 21-ე საუკუნეში თავის გარშემო უნდა შექმნას ახალი, „ლიბერალური იმპერია“. ეს იმპერია უნდა შეიქმნას არა იარაღისა და დაპყრობის, არამედ ეკონომიკური ობიექტების შესყიდვის გზით. სომხეთის ეკონომიკას უკვე რუსული კაპიტალი აკონტროლებს, რასაც საკმაოდ უარყოფითად აფასებენ თვით სომები ეკონომისტები და სხვა ექსპერტებიც. ასე მაგალითად: რუსეთის რკინიგზამ იყიდა სომხეთის რკინიგზა, მას სახელი შეუცვალა და დაარქვა „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა“. მოგეხსენებათ, მხოლოდ სომხეთის მონაკვეთი არ არის სამხრეთ კავკასია, მაგრამ იმ რკინიგზას უკვე ჰქვია „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა“. ამით რუსეთმა აშკარად აჩვენა თავისი გეგმა, რომ მას სურს

არა მარტო სომხეთის რკინიგზით დაკმაყოფილდეს, არამედ გააკონტროლოს საქართველოსა და აზერბაიჯანის სარკინიგზო გზებიც. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ საქართველოს რკინიგზით დაინტერესება გამოხატოს „სამხრეთ კავკასიის რკინიგზაშ“ და ის შესაბამისი სატელიტი ქვეყნის გამოყენებით რუსეთის მფლობელობაში გადავიდეს.

– თუმცა, ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ობიექტების საკონტროლო პაკეტი არ გაიყიდება

– რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება, რომ საკონტროლო პაკეტი არ გაიყიდება და გაიყიდება მხოლოდ მისი შედარებით მცირე ნაწილი, მისაღებია, მაგრამ მე იმ ნაწილის გაყიდვის მომხრეც არა ვარ. რატომ? – იმიტომ, რომ ჩემი ნდობა ამ პოლიტიკური რეჟიმის მიმართ საკმაოდ დაბალია. ნუ დაგვავიწყდება, როგორ გაუხსნეს კარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რუსულ კაპიტალს და დღეს ჩვენი ოქროსა და სპილენძის მოპოვება რუსების ხელშია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ერთ-ერთი უმსხვილესი ქართული ბანკი „გაერთიანებული ქართული ბანკი“ რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი „ვითიბი ბანკის“ ხელშია. ნუ დაგვავიწყდება უგანიანელი ბანკის მავნე ჩანაფიქრი, რომ მაგისტრალური გაზსადენი გაეყიდათ და რომ არა ამერიკის ჩარევა, დღეს ის ჩვენს ხელში არ იქნებოდა. როცა ეს ისტორიები გვახსოვს, ძნელია ვიფიქროთ, რომ გაყიდიან მნიშვნელოვანი ობიექტების მცირე ნაწილს და არ შეეხებიან საკონტროლო პაკეტს. საკონსტიტუციო უმრავლესობას ესენი აკონტროლებენ, დღეს ერთს ამბობენ, ხვალ კი სხვას იტყვიან, ვინ დაუშლით? როგორ დავიჯერო, რომ კანონში კვლავ არ შეიტანებ ცვლილებას და საკონტროლო პაკეტებსაც არ გაყიდიან? ხვალ ბატონი ნიკა გილაური რომ არ იქნება პრემიერ-მინისტრი, რა აუცილებლობა აქვს ახალ პრემიერს, რომ გილაურის სიტყვა შეასრულოს? ან გილაურს როგორ მოვთხოვოთ პასუხი, ერთი-ორი წლის შემდეგ შეხედულება რომ შეიცვალოს? რა მექანიზმი გვაქვს? და ისევ ვრჩებით ძია სემის იმედად – ეგებ ძია სემმა გვიშველოს და ქართველი ხალხის ინტერესები დაიცვას...

– როგორ ფიქრობთ, დაინტერესებულია „ძია სემი“ ჩვენი სტრატეგიული ობიექტების დაცვით?

– ამას წინათ გავეცანი ინტერვიუს, სადაც საქართველოს ელჩი აშშ-ში თემურ იაკობაშვილი ამბობს, რომ მაგისტრალურ გაზსადენთან დაკავშირებით ამერიკას ინტერესები აღარ აქვს საქართველოში. თუ ასეა, მთლად უარესი. საქართველოს ინტერესები პირველ რიგში მისმა მთავრობამ უნდა დაიცვას, მაგრამ ასეთი რამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იშვიათად ხდება. თუ 2006 წელს

მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვას აშშ-მა გადაგვარჩინა, ახლა ჩვენი ელჩის ნათქვამს თუ ვენდობით, გამოდის, რომ ჩვენი მხსნელი და გადამრჩენელი „ძია სემიც“ ადარ ყოფილა.

ახლა რაც შეეხება რუსეთს, დღეს მას ოკუპირებული აქვს მხოლოდ 20 პროცენტი საქართველოს ტერიტორიისა, მაგრამ იქმნება რეალური საფრთხე, რომ რუსეთმა მოახერხოს საქართველოს ეკონომიკის 100-პროცენტიანი ოკუპაცია. არ ვამბობ, რომ ეს უკვე განხორციელდა, მაგრამ ჩვენ აშკარად ვდგავართ ამ საფრთხის წინაშე. ჩვენს გარშემო რომ მხოლოდ “სასიამოვნო” სამეზობლო იყოს, ამას რა სჯობია, მაგრამ არა ვართ სამწუხაროდ შვეიცარია, არც სამეზობლო გვყავს ისეთი, როგორიც დღეს შვეიცარიას ჰყავს. გამოდის, რომ ჩვენ მივდივართ რუსული ლიბერალური იმპერიისაკენ. როგორც გიოხარით, ამ ლიბერალური იმპერიის ფარგლებში უკვე არის სომხეთი, მაგრამ იმისათვის, რომ მოხერხდეს სომხური ეკონომიკის სრული ინტეგრაცია რუსულთან, აუცილებელია საქართველოს, ან აზერბაიჯანის ჩართვა ლიბერალურ იმპერიაში. აზერბაიჯანის გამოყენება ამ მიზნით არარეალისტურია აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გამო. ამიტომ, რუსულ ინტერესებშია საქართველოს ჩართვა, რაც დღეს “შემოვლითი გზით” ხორციელდება.

### – რას ნიშნავს „შემოვლითი გზა“?

– ხშირად კომპანია, რომელიც საქართველოში ამა თუ იმ ობიექტის შეძენით არის დაინტერესებული, ფორმდება ოფშორულ ზონაში და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს არის ბრიტანული, ან შვეიცარიული კაპიტალი, სინამდვილეში კი ის რუსულია. ეს ყველაზე თვალსაჩინო მაშინ ხდება, როდესაც მენეჯმენტი წარმოდგენილია რუსებით. ამის საუკეთესო მაგალითია „თბილისის წყალი“: თუ იქ მართლა შვეიცარიულები შემოვიდნენ, რატომ ჰყავთ მენეჯერებად რუსები? საქართველოში რუსული ენა პრაქტიკულად გაქრა, თუ რუსული ენა იდევნება, ბიზნესში რატომ რჩება? აქედან გამომდინარე ვინ იყიდის ჩვენს სტრატეგიულ ობიექტებს, თუ არა “ვანია”, ან “ოვანესი”?

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე